

**განმარტებითი ბარათი**  
**„1801 წლიდან საქართველოში რუსეთის იმპერიის მიერ**  
**წარმოებული რელიგიური პოლიტიკის უკანონოდ გამოცხადების შესახებ“**  
**საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტზე**

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:** 1801 წელს საქართველომ დაკარგა, ჯერ სახელმწიფოებრიობა, ხოლო უფრო მოგვიანებით, 1811 წელს ეკლესიური დამოუკიდებლობა, და იმ დროიდან საქართველოს მართმადიდებლურ ეკლესიას მიაღება მატერიალური ზიანი რომლის ანაზღაურებაც დღემდე არ განხორციელებულა.

**ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:** პროექტის მიზანია საქართველოს მართმადიდებლურმა ეკლესიასათვის მიყენებული ზარალის ნაწილობრივ ანაზღაურება, სახელდობრ რუსეთში გატანილი საეკლესიო საგანძურის საქართველოში დაბრუნება.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:** პროექტის ძირითადი არსია რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოში წარმოებული რელიგიური პოლიტიკის უკანონოდ გამოცხადება, ასევე საქართველოს კუთვნილი საეკლესიო საგანძურის საქართველოში დაბრუნება, რისთვისაც მნიშვნელოვანია „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა უზრუნველყოფ კომისიათა შექმნის შესახებ“ 2003 წლის 7 იანვრის №1 ბრძანებულებით შექმნილი კომისიის შემადგელობა განახლდეს, ვინაიდან კომისიის წევრთა უმრავლესობა დღეისათვის აღარ არიან ბრძანებაში აღნიშნულ თანამდებობებზე.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:** კანონპროექტის მიღება დამატებით ფინანსურ ხარჯებს არ მოითხოვს.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:** კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.ვ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე: კანონპროექტის მიღება დამატებით ფინანსურ ხარჯებს ბიუჯეტიდან არ მოითხოვს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები: სახელმწიფო ახალ ფინანსურ ვალდებულებებს არ იღებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება: პროექტი არ იმოქმედებს იმ პირობა ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტი.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი): კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან: კანონპროექტი არ ეხება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან: კანონპროექტი არ ეხება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან: კანონპროექტი არ ეხება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში: კანონპროექტის შემუსავებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში: ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი: არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაციონალური ლობი“-ს ხელმძღვანელი - გიორგი ანდრიაძე.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი: საქართველოს პარლამენტის წევრები: მანანა ჯებაშვილი, მარინა მოლოდინი, მამუკა კაციგაძე, ნუგზარ პარუნაშვილი, კახა კუკაია, მეგი გოცირიძე, გოჩა ჯოჯუა, ზვიად დოლიძე, ბიძინა გუჯაბიძე, ბექან ხურციძე.